

**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა
(კონსოლიდირებული)**

1. დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს იმ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი ფინანსურ დახმარების გაწევას, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

ა) მოქალაქეთა განცხადებების, თანდართული დოკუმენტების განხილვა, შესაბამისი რეაგირება და ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ არასრულწლოვან შვილზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ბ) თუ ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდე, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ოჯახის არასრულწლოვანი შვილები, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტიურად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარება მიეცემა არასრულწლოვანთა დედას ან მამას. დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან არასრულწლოვანთა ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები, შშობლების („ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - დახმარების მიმღები პირის) პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი.